ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის ოქმი N31

14.08.2024

სხდომის ჩატარების ადგილი: ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის შენობა,

სხდომათა დარბაზი, ქ.ქუთაისი, რუსთაველის გამზ.N3

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო კომისიისა სხდომას N31 -ს უძღვება საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ბაქარ მახარაძე.

ესწრებოდნენ :

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის წევრები: კომისიის თავმჯდომარე **ბაქარ მახარაძე.**

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიისა წევრები: ირაკლი შენგელია, პაატა ლილუაშვილი, ამირან კოპალეიშვილი, ზაქრო მამასახლისი, მარეხი ნიჟარაძე, მაია სიმონიძე, ელეონორა არჩაია.

სულ : 15 წევრიდან-8 წევრი.

არ ესწრებოდა: გია ბასილაძე, მერაბ ჭოხონელიძე, რომან ქვაჩაკიძე, გაგა მანაგაძე, დავით ბახტაძე, კობა გურული, გიორგი კილაძე.

სულ: 7 წევრი

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ:

ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელი დ. ნიშნიანიძე

სხდომა გასხნა საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიისა კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა ბაქარ მახარაძე. მან აღნიშნა: მოგესალმებით, დღეს ჩვენ ვატარებთ საფინასო-საბიუჯეტო კომისიის სხდომას. დღის წესრიგი და მასალები კომისიის წევრებთან წინასწარ გადმოიგზავნა.

საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ, ბატონმა ბაქარ მახარაძემ წარმოადგინა სხდომის დღის წესრიგის შემდეგი პროექტი:

1.„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27 დეკემბრის №79 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

ბატონი დავით ნიშნიანიძე
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტეის მერიის პირველადი
სტრუქტურული ერთეულის საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო
შესყიდვების სამსახურის ხელმძღვანელი

ღია კენჭისყრით, ერთხმად დ ა ა დ გ ი ნ ე ს :

დამტკიცდეს სხდომის დღის წესრიგი წარმოდგენილი რედაქციით.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიისა კომისიის თავმჯდომარემ ბ. მახარაძე : ცვლილებები შედის მიმდინარე წლის ბიუჯეტში: მე-4 ცვლილების შედეგად ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი ასიგნება გაიზარდა 6 881,9 ათასი ლარით და ორგანიზაციული კლასიფიკაციის მიხედვით შეადგენს 150 805,8 ათას ლარს.

საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 დეკემბრის N2402 განკარგულებით გამოყოფილი თანხა გაიზარდა 2 450,0 ათასი ლარით და დაიგეგმა ინფრასტრუქტურული ღონისძიებების განხორციელება. ბიუჯეტში აისახა სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ, საქართველოს მთავრობის N2400 განკარგულებით გამოყოფილი თანხა 1000,0 ათასი ლარი, რომლითაც განხორციელდება მდ. ოღასკურას კალაპოტის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაცია. „საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტების“ ფარგლებში ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტს დაემატა ახალი საგრანტე პროგრამა „EU4ITD - ქუთაისის, როგორც რეგიონის ტურისტული ჰაბის ცნობადობის ამაღლება შემოქმედებითი ინდუსტრიებისა და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის გზით“, გეგმა განისაზღვრა 408,4 ათასი ლარით. „კაპიტალური დანიშნულების გრანტის“ სახით ბიუჯეტში აისახა 228,5 ათასი ლარი, რის საფუძველზეც „ქალაქ ქუთაისში, ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის“ ქვეპროგრამაში გაიზარდა „კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის („ოქროს ჩარდახი“) რესტავრაცია-რეაბილიტაციის“ ღონისძიების გეგმა. ბიუჯეტში შემოსულობების კუთხით „ქონების გადასახადი“ იზრდება 1 000,0 ათასი ლარით, ხოლო „შემოსულობა არაწარმოებული აქტივების გაყიდვიდან“ 1 800,0 ათასი ლარით.

დეტალური ინფორმაციის წარმოდგენას ვთხოვთ ბატონ დავით ნიშნიანიძეს.

მოისმინეს:

„ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტეის მერიის საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების“ სამსახურის ხელმძღვანელი დ. ნიშნიანიძის ინფორმაცია 2024 წლის ბიუჯეტში ასახული ცვლილებების შესახებ.

მან აღნიშნა, მიზანშეწინილია და საჭირო გახდა ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ცვლილების განხორციელება: კერძოდ, გაიზარდა საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 დეკემბრის N2402 განკარგულება 2 450,0 ათასი და დაიგეგმა შემდეგი ღონისძიებების განხორციელება:

1. „გზებისა და ტროტუარების კაპიტალური შეკეთების“ ქვეპროგრამაში - 1 600,3 ათასი ლარი:

1.1 ტყიბულის ქუჩის მე-VI-ჩიხის საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა

1.2 დავით და კონსტანტინეს ქუჩის პირველი შესახვევის გზის და კედლის რეაბილიტაცია

1.3 #35-ე სკოლასთან მისასვლელი გზის მშენებლობა,

1.4 მესხიშვილის ქუჩის საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია,

1.5 ახალგაზრდობის მეშვიდე შესახვევის ბოლო მონაკვეთი საგზაო ინფგრასტრუქტურა

2. „სანიაღვრე სისტემის რეაბილიტაცია-მშენებლობის“ ქვეპროგრამაში - 1 228,0 ათასი ლარი:

2.1 კიბულის ქუჩის ბოლო მონაკვეთიდან, მწვანეყვავილას ქუჩის გავლით სანიაღვრე ქსელის მოწყობა

2.2 ნიკო მუსხელიშვილის ქუჩაზე მდებარე სანიაღვრე არხის კალაპოტის, არხის გასწვრივ ტროტურაისა და გამწვანების მოწყობა

2.3 ანტონ კათალიკოსის ქუჩის ღვარსადენი ქსელის რეაბილიტაცია

3. „ქალაქში საყრდენი და დამცავი კედლების მშენებლობის“ ქვეპროგრამაში - 65,0 ათასი ლარი:

3.1 გორკის ქუჩის #18-თან საყრდენი კედლის მოწყობა

4. მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ლიფტების რეაბილიტაცია - 210,8 ათასი ლარი

5. მრავალსართულიანი სახლების ფასადების რეაბილიტაცია - 305,6 ათასი ლარი

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში აისახა სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ, საქართველოს მთავრობის N2400 განკარგულებით გამოყოფილი თანხა 1000,0 ათასი ლარი, რომლითაც განხორციელდება მდ. ოღასკურას კალაპოტის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაცია. „საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტების“ ფარგლებში ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტს დაემატა ახალი საგრანტე პროგრამა „EU4ITD - ქუთაისის, როგორც რეგიონის ტურისტული ჰაბის ცნობადობის ამაღლება შემოქმედებითი ინდუსტრიებისა და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის გზით“, გეგმა განისაზღვრა 408,4 ათასი ლარით. „კაპიტალური დანიშნულების გრანტის“ სახით ბიუჯეტში აისახა 228,5 ათასი ლარი, რის საფუძველზეც „ქალაქ ქუთაისში, ტურისტული ინფრასტრუქტურის

რეაბილიტაციის“ ქვეპროგრამაში გაიზარდა „კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის („ოქროს ჩარდახი“) რესტავრაცია-რეაბილიტაციის“ ღონისძიების გეგმა.

ადგილობრივი საბიუჯეტო სახსრების ფარგლებში დაგეგმილია:

1. „გზებისა და ტროტუარების კაპიტალური შეკეთების“ ქვეპროგრამაში დები იშხნელების ქუჩის რეაბილიტაციის ღონისძიება - 250,0 ათასი ლარი;

2. გზებისა და ტროტუარების მიმდინარე შეკეთება - 350,0 ათასი ლარი;

3. მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოების ფურნიტურა - 173,1 ათასი ლარი;

4. „მოქალაქეთა ჩართულობის განვითარების ხელშეწყობის“ პროგრამის გაზრდა 195,1 ათასი ლარით, რომლის ფარგლებში შეირჩევა ინფრასტრუქტურული პროექტები მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლების მიერ, მოქალაქეებთან გამართული კონსულტაციების შედეგად.

5. სხვადასხვა სახეობის სპორტულ - გამაჯანსაღებელი და დასასვენებლად განკუთვნილი ობიექტების მოწყობა, რეაბილიტაცია, ექსპლუატაციის ქვეპროგრამის ფარგლებში გაიზარდა ჩოგბურთის კორტების კომპლექსის რეაბილიტაციის ღონისძიება 199,0 ათასი ლარით, იგეგმება მე-11 სპორტული სკოლის რეაბილიტაცია - 500,0 ათასი ლარი.

შემოსულობების კუთხით „ქონების გადასახადი“ იზრდება 1 000,0 ათასი ლარით, ხოლო „შემოსულობა არაწარმოებული აქტივების გაყიდვიდან“ 1 800,0 ათასი ლარით.

მე-4 ცვლილების შედეგად ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი ასიგნება გაიზარდა 6 881,9 ათასი ლარით და ორგანიზაციული კლასიფიკაციის მიხედვით შეადგენს 150 805,8 ათას ლარს. (კონკრეტული ცვლილებების ნუსხა თან ერთვის)

ა ზ რ ი გ ა მ ო თ ქ ვ ე ს:

კომისიის წევრი მ. სიმონიძე: თუ იგეგმება ანდრია რაზმაძის სახელობის ქალაქ ქუთაისის №41 ფიზიკა - მათემატიკის საჯარო სკოლა სპორტული მოედნის რეაბილიტაცია, ვინაიდან აღნიშნული მოედნით სარგებლობენ არა მხოლოდ სკოლის მოსწავლეები, არამედ მიმდებარედ მცხოვრები ახალგაზრდები.

მერიის საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების“ სამსახურის ხელმძღვანელი დ. ნიშნიანიძე: შესალეძლებელი აღნიშნული საკითხის მოგვარდეს გამარტივებული ტენდერით, რომელიც ითვალისწინებს სამ მილიონამდე დანახარჯის ანაზღაურებას.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიისა კომისიის თავმჯდომარემ ბ. მახარაძემ დღის წესრიგის პირველი საკითხთან დაკავშირებით გამოაცხადა ღია კენჭისყრის დაწყება. რეგისტრაცია გაიარეს კომისიის წევრებმა.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ საკითხს: მომხრე - 8, წინააღმდეგი - არც ერთი

დაადგინეს:

მხარდაჭერილ იქნეს „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 27 დეკემბრის №79 დადგენილებაში ცვლილების შეტანა (მეოთხე ცვლილება)

ამით კომისიების გაერთიანებული სხდომა დასრულდა.

ქ.ქუთაისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო

კომისიის თავმჯდომარე ბაქარ მახარაძე